

## პროვინციული სოციალიზმი და პროვინციული ლიბერალიზმი

2011 წლის 24 ნოემბერს სასტუმრო ქორთიარდ-მარიოტში გაიმართა ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეროვნული პლატფორმის შეხვედრა. შეხვედრა მიზნად ისახავდა პლატფორმის წესდებისა და წევრი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსის მიღებას და მმართველი ორგანოების არჩევნებს.

საკმაოდ მძაფრი, და ხშირად არაკორექტული, დისკუსიის მსვლელობისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა განხეთქილება პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ორ ბანაკს შორის. შეხვედრაზე ვერ მოხერხდა დაგეგმილი საკითხების სრულად განხილვა, ხოლო ბოლო ეტაპზე, ბევრი წევრის წასვლის შედეგად, გაირკვა, რომ არ არსებობდა ქვორუმი და, შესაბამისად, არჩევნებიც ჩაიშალა.

ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მოვლენა, კარგად აჩვენებს ქართულ არასამთავრობო სექტორში არსებულ განხეთქილებას. ამ განხეთქილების მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე ორ, განსხვავებული შეხედულების მქონე ინტერესთა ჯგუფს შორის არსებული დაპირისპირება.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთმანეთისადმი უნდობლობის მაღალი ხარისხი. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ერთმანეთს უპირისპირდებიან იმ პოტენციური დაფინანსების გამო, რომელიც აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში შეიძლება იქნეს მოპოვებული. ბევრი ორგანიზაცია ეჭვის თვალით უყურებს პლატფორმის მმართველ გუნდს და ფიქრობს, რომ ე.წ. არასამთავრობო ელიტა ცდილობს მოახდინოს პროცესის მონოპოლიზაცია.

ამავე დროს ნათლად გამოიკვეთა იდეოლოგიური ხასიათის დაპირისპირებაც. დაპირისპირების ერთ პოლუსზე აღმოჩნდნენ ორგანიზაციები, ვინც ეთანხმება ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის წამოყენებულ მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებები უნდა გაატაროს ევროკავშირის რეგულაციებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით. კერძოდ საუბარია უფრო სოციალურად ორიენტირებული პოლიტიკის გატარებაზე, რის საპირისპირო ქმედებებსაც ისახავს მიზნად ქვეყანაში გატარებული ლიბერალური და ულტრალიბერალური ხასიათის რეფორმები.

მეორე ჯგუფი, რომელსაც "ლიბერტარიანებადაც" მოიხსენიებენ, კატეგორიულად ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის შეზღუდვის ყოველგვარ მცდელობას და მხოლოდ იმ შემთხვევაშია თანახმა ისაუბროს ევროკავშირთან ინტეგრაციაზე, თუ საქართველო გააგრძელებს "ველური კაპიტალიზმისათვის" დამახასიათებელი სისტემის მშენებლობას.

არასამთავრობოთა ორი ჯგუფის იდეოლოგიური დაპირისპირება ბუნებრივ მოვლენად შეიძლება ყოფილიყო აღქმული, რომ არა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისა და არაფორმალური გადაწყვეტილების მიმღებთა ბოლო დროს გახშირებული განცხადებები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესს. ცოტა ხნის წინ ქართველმა ოლიგარქმა, კახა ბენდუქიძემ (რომელიც ლიბერტარიანული არასამთავრობოების არაფორმალურ მფარველად ითვლება) განაცხადა, რომ არ სურს ისეთ ევროპაში შესვლა, სადაც კიტრის ფორმაც კი კანონითაა განსაზღვრული. ამავე დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გილაური აკეთებს განცხადებას, რომ ამ ეტაპზე ევროპა არ არის მაინცადამაინც მიზიდველი.

ყოველივე ეს მეტად საეჭვოდ უკავშირდება მმართველი პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის მთელ რიგ შეხვედრებზე გაკეთებულ განცხადებას, რომ თუ დასავლეთი უსიტყვოდ არ დაუჭერს მხარს საქართველოს ხელისუფლებას, საქართველო "სხვა გზას გამოიხატავს".

იმაზე, რომ განცხადებები მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ არის, მიუთითებს ირანთან უვიზო რეჟიმის შემოღების იდეა მაშინ, როცა ევროპა საქართველოსთან მესამე მხარესთან სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებას მოითხოვს ევროპასთან უვიზო რეჟიმის შემოღების სანაცვლოდ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული ქმედებები მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ევროპულმა სახელმწიფოებმა მთელი რიგი კრიტიკული განცხადებები გააკეთეს საქართველოში დემოკრატიული პროცესების სისუსტესთან დაკავშირებით.

ხელისუფლების პოლიტიკური მიზნებისათვის (გაიხანგრძლივოს ძალაუფლება) იდეოლოგიური საფუძვლების გამოყენება საქართველოში სიახლეს არ წარმოადგენს. ქართული მემერცხენეობა და ქართული მემერჯვენეობა მეტისმეტი რადიკალიზაციით გამოირჩევა. უნებლიედ ჩნდება ცდუნება გაივლოს პარალელი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ხელისუფლების ქმედებებთან. აღნიშნული პერიოდის საქართველოს სოციალ-დემოკრატიული

მთავრობა იდეოლოგიურად უფრო მეტ საერთოს პოულობდა ბოლშევიკურ რუსეთთან, ვიდრე კაპიტალისტურ დასავლეთთან, რომელსაც საქართველო სწორედ რუსეთისაგან დაცვას თხოვდა.

90 წლის წინაც სახეზე იყო ქართული პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიის რადიკალიზაცია. ქართველი სოციალ-დემოკრატები ცდილობდნენ ყოფილიყვნენ "რომის პაპზე უფრო კათოლიკეები" – უფრო კარგი სოციალისტები, ვიდრე მათი ევროპელი კოლეგები იყვნენ. თავის დროზე კარლ კაუცკი, გერმანელი სოციალ-დემოკრატიის ერთერთი მთავარი თეორეტიკოსი, საქართველოს "სოციალისტურ სამოთხეს" უწოდებდა, რასაც ქართველი სოციალ-დემოკრატები სიამაყით იმეორებდნენ. დღეს ქართველი ლიბერტარიანები ასეთივე სიამაყით აცხადებენ, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივით საქართველო მსოფლიოს ლიდერთა შორისაა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ქართულმა "სოციალისტურმა სამოთხემ" ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, ისე ბიზნესის კეთებაში ლიდერობის მიყუხედავად, საქართველოში არ შეინიშნება უცხოური კაპიტალის მოზღვაკების პროცესი. ერთადერთი სერიოზული ინვესტორი რუსული კაპიტალია, რომელსაც საქართველოს თითქმის ყველა მსხვილი ბიზნესი ეკუთვნის.

თავის დროზე (1921) სოციალიზმის გადაჭარბებულმა აპოლოგიამ საქართველოს რუსეთის მიერ ანექსიას შეუწყო ხელი. იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი ულტრალიბერალური კურსი და რუსეთის (რომელთანაც საქართველოს, სხათაშორის, ორი წლის წინ ომი ჰქონდა) ეკონომიკური გაბატონება ქვეყანაში ანალოგიურ შედეგს არ მოიტანს.

ნებისმიერი იდეოლოგიის თუ დოქტრინის რელიგიის რანგში აყვანა, როგორც წესი, განვითარებადი სამყაროს ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და სულ ერთია, რა დოქტრინა უდევს მას საფუძვლად – ისლამური ფუნდამენტალიზმი, ფაშისტური თუ კომუნისტური ავტორიტარიზმი, მემარცხენე თუ მემარჯვენე ხუნტები და ა.შ. ამასთან ამ იდეოლოგიის მატარებლები, როგორც წესი დასავლეთ ევროპასა თუ აშშ-ში განათლებამიღებული პოლიტიკური ლიდერები არიან (რუსეთში მარქსიზმის რევიზიონისტი ვლადიმერ ლენინით დაწყებული, ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში კანიბალ ჯან ბედელ ბოკასათი დამთავრებული).

საქართველოში ამის ნათელ მაგალითს პოლიტიკური ისტებლიშმენტის ბევრი წარმომადგენელი იძლევი. იმედია ყველა, ვინც მათ პირადად იცნობს, დამეთანხმება, რომ დასავლურ ღირებულებებზე ბევრი ქართველი პოლიტიკოსის შეხედულება ვესტერნებით, განგტერული ფილმებითა და საბჭოთა კავშირში გადაღებული, "ცხოვრების დასავლური წესის" მაჩვენებელი, საკმაოდ მდარე ხასიათის, იდეოლოგიზებული ფილმებით ჩამოყალიბდა. ბევრი, ინტელექტზე პრეტენზიის მქონე, ქართველის დარწმუნებულია, რომ დასავლური ცივილიზაცია ყაჩაღებმა და ავანტიურისტებმა შექმნეს და წარმოდგენა არ აქვს, თუ რას ნიშნავს პროტესტანტული ეთიკა (მაქს ვებერისეული გაგებით), ან რა პრინციპების ეფუძნებოდა ფრანგული კონვენტის თუ ფილადელფიის კონგრესის გადაწყვეტილებები.

დღეს ბევრს საუბრობენ საზოგადოების ფრუსტრაციაზე. მთელი რიგი მითების (მაგალითად ის, რომ საქართველოს მხოლოდ მინერალური "ბორჯომი" ან ტურიზმი აცხოვრებს) მიმართ იმედგაცრუება მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და თუ ღირებულებათა გადაფასების პროცესი კვლავ გაგრძელდა, შესაძლებელი გახდება რამდენიმე ათეულ წელიწადში ჩვენი საზოგადოება ნორმალურ, ტიპური ევროპული მენტალობის მქონე სოციუმად ჩამოყალიბდეს.